

572 /  
1973 / 2

საქართველოს  
საბავშვო გამომცემლობა



1973 030000 N7  
საბავშვო



ანზორ აბულაშვილი

უგვართ მინდოში სირბილი  
ნათიასა და თათიას;  
ველი— ზეპლებს და უვაგილებს  
ათასფრად მოუსატათ.

ნახტი ზაპრ ლეისაძისა

ირკვლივ დცინის უოველი  
და მცისნაირად ანთია,  
დამსგავსებინ უვაგილებს  
თათიაცა და ნათიაც!



# სხრათვალა მზეა

ზ ლ ა მ ა რ ი

მთარ სერაშულაძე

ნახატი თენგიზ სამსონაძის

იყო და არა იყო რა, იყო და ახლაც არის ცხრათვალა მზე. მაგრამ ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, მზე ათთვალა იყო და შეილიც ათი ჰყავდა. ის თითო თვლით თითო შეილს უმზერდა, შესციცინებდა, ათბობდა თავისი სხივებით და ელოლიავებოდა.

მზის უმცროს შეილს მზისადარი ერქვა. მართლაც რომ მზის სადარი იყო. იმდენად სხივმოსილი და მშვენიერი იყო, რომ თვით დედა მზესაც კი უჭირდა მასთან თვლის გასწორება. სწორედ ამიტომ დედა მზე მათე თვალს ხშირად ქუტავდა. ამიტომ მზისადარი, რაკი დედის მზრუნველ მზერას აიცდენდა, ცდილობდა, შორს გაქრილიყო. იმ დროს, როცა სხვა შეილები დედას წიწილებივით გარს ეხეივნენ, მზისადარი საღდაც სხვაგან, შორს იცქირებოდა.

— ნუ გარბიხარ ჩემგან შორს, შეილო, ხიფათს რასმე გადაეყრები, — არიგებდა დედა. მომზებურდა შენს გარშემო ბორბალი, სულ კულში ხომ არ უნდა გდიო! — უპასუხა ჯიუტმა შეილმა და ისე დაშორდა, არც კი დამშვიდობებია.

დაეხეტებოდა ცის ტატნობზე მზისადარი, დაეხეტებოდა და ამ ხეტიალში კუდიან ვარკვლავს გადაეყარა.

— გამარჯობა, კუდიანო მგზავრო!

— გაგიმარჯოს.

— საით გაგიწევია, ჩემო კუდიანო?

— მივდივარ მზის ქვეყანაში, მინდა მზეს ცეცხლი ვთხოვო, რათა ჩემი ბნელი ქვეყანა გაათბო და გაენათო!

— მე მზის შეილი ვარ, მზისადარს მეძახიან, წამიყვანე შენს ქვეყანაში და არც სითბო მოგაკლდებათ და არც სინათლე.

ბევრი იხეტიალეს თუ ცოტა, კუდიანი ვარსკვლავების ბნელ ქვეყანას მიაღწიეს. ამ ქვეყანაში ცაც ნახშირივით შავი იყო და თვით კუდიან ვარსკვლავებსაც მიწის ფერი ედოთ, მხოლოდ თვლები უცმციმებდათ და გრძელი კულები უღლავდათ. გაიხარეს კუდიანმა ვარსკვლავებმა, იფიქრეს, ახლა კი გვეშველა და მზისადარი თავისი სილამაზით

მთელს ჩვენს ქვეყანას გაენათებსო. მზისადარი უფრო გაამაყდა და გადიდგულდა. ისიც კი მოინდომა, ის უკანასკნელი მშუტუტავი ცეცხლი, რომელიც კუდიან ვარსკვლავებს თვლებში და კულებში ჰქონდათ შენახული და გზას იმით იგნებდნენ, თვითონ მიეთვისებინა, რათა უფრო ლამაზი და კეკლუცი გამოჩენილიყო.

— აქ ცის მგელი, — იკაროსი ხშირად დაეხეტება და სიბნელეში მუსრს გვაკლავს. მოგვეცი სითბო და სინათლე, დავიხსენი იკაროსისაგან! — შევედრნენ კუდიანი ვარსკვლავები.

— სამაგიეროდ უნდა დამითმით თქვენი თვლებისა და კულების შუქი, — თქვა მზისადარმა.

— თვლების შუქი რომ დავითმით, ხომ დავბრმავდებით? — უპასუხეს მორიდებით კუდიანმა ვარსკვლავებმა.

— მაშინ ჩემი სინათლე და სითბო ჩემთვის მინდა.

— გაუფრთხილდი! იკაროსი არც შენ და გაყრის ხერის!

— იკაროსი რას დამაკლებს, მე მზის შეილი ვარ, მძლეეთამძლე მზის შეილი! — დაიწყო ტრახახი მზისადარმა.

ამ დროს, შორს, მზიანეთის ქვეყნიდან რაღაც მკრთალი შუქი გამოციაგდა, თურმე დედა მზეს მათე თვალი დაეჭყიტა და გზასაც დენილი შეილისაკენ იზიარებოდა, იქნება გონს მოგვოს, შემომხედოს და უკან დამიბრუნდესო, მაგრამ ამპარტყავან მზისადარს სულაც არ ახსოვდა დედა, იღვა ღონიჯ შემოყრილი უთვალავ კუდიან ვარსკვლავებს შორის და სხვი რომ სხვივა, ერთ სხვისაც ვერ იმეტებდა კუდიანი ვარსკვლავებისათვის.

სად იყო და სად არა, გამოჩნდა იკაროსი და დაერია კუდიან ვარსკვლავებს. ბევრი კუდიანად გადაყლაბა, ვინც თავს უშველა, ღრუბლებში მიიმალა, ანდა დედამიწას მიამურა. იკაროსით დაუფეთებულნი კუდიანი

12.143

ქ. ბორჯომის სხ. საქ. სსრ სს. შეილა რ. სპობოტა. 80. 10. 1954

ვარსკვლავები ახლაც ფეთიანებივით დაჰქიან. ალბათ გინახავთ მოულოდნელად როგორ გაიფრებენ ხოლმე ღამით ცაზე. ამის შემყურე ადამიანები ამბობენ: ცას ვარსკვლავი მოსწყდაო.

ნირი წაუხდა ტრახანა მზისადარს, არც აცია, არც აცხელა და ღრმად შეიფუთნა ღრუბლებში, რომ არ გამოჩენილიყო. მაგრამ იკაროსმა შემოახია ღრუბელს სამოსი და ისე მძლავრად დაეტაკა, რომ მტვრად აქცია. მერე ის მტვერი ნელ-ნელა დედამიწაზე დაეშ-

ვა. დედამიწამ სიხარულით მიირო თავისი ციურბი და, უწილადა საკუთარი სიცოცხლის ნაწილი და გააცოცხლა; თვითფული ბაწია მტვრის ნამცეცი მცენარედ აქცია. ასე გაჩნდა ახალი მცენარე ქვეყანაზე, რომელსაც ხალხმა მზესუმზირა დაარქვა, რადგან მზეს უმზერს. ბევრმა არც კი იცის, რომ მზესუმზირა მზის შვილია და სწორედ ამიტომ არ აცილებს თვალს თავის მშობელ დედას. დედამისი კი ცხრათვალა დარჩა.



## ქრავი

გივი ჭიჭინაძე

კრავო, კრავო,  
ღრუბლის ფთილავე,  
შორს ნუ წახვალ  
იყავ ფრთილად!  
ეპარება  
მგელი ფარას...  
მურა ძაღლი  
დაგიფარავს.



## მელია და ყარყაზი

- მომიანლოვდი, ყარყატო,  
მინდა ლამაზად დაგხატო.
- ვიდრე წინ დაგისკუბდები,  
მანამ გაგიხმა ყანყრყატო!

ნახატები სოფო კინწარაშვილისა

# 80 წელი ვლადიმერ პაიაკოვსკის დაბადებიდან

ბალადი (ახლანდელი მიაკოვსკი) საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია.

აქ, 80 წლის წინათ, მეტყვევის ოჯახში, დაიბადა დიდი საბჭოთა პოეტი ვლადიმერ მიაკოვსკი.

მიაკოვსკი არის რუსული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი, მისი სწორუპოვარი წარმომადგენელი.

იგი ბავშვებისათვისაც წერდა.

ვბეჭდავთ მიაკოვსკის ერთ ლექსს,—თარგმნილს ირაკლი აბაშიძის მიერ.

## რა არის კარგი და რა არის ცუდი

იბეჭდება შემოკლებით

კიკნა ბიჭი

მამასთან

შემოიჭრა წუთით:

— „მამი,

კარგი რა არის,

ან რა არის

ცუდი?“

მამის პასუხს

ბალღებო,

მე ამ ლექსში

გიწერთ,

საიდუმლო

არ არის,

მოისმინეთ, გიწვევთ:

თუ ბავშვს უყვარს

საპონი,

უყვარს

კბილის ფხვნილი,—

კარგი არის

ეს ბავშვი


და ამგვარი შვილი.



სუსტი ბავშვის  
დამჩაგრელს,  
ყბელს და  
შარის მომღებს,  
მე ამ წიგნში  
არ ჩაეწერ,  
იმედიც არ ჰქონდეს:  
ის, ვინც ამბობს:  
— „მოსცილდით,  
ამ პატარას  
ნუ სცემთ!“  
ძლიერ კარგად იქცევა,  
ესმარება  
სუსტებს.  
თუ აქციეთ ნაკუწად  
წიგნები და  
ბურთი,  
ყმაწვილები ამბობენ:



— „ეს ბავშვია  
ცული!“  
თუ ბავშვს უყვარს  
შრომა და  
წიგნში თითებს  
ჩარგავს, —  
მისთანებზე  
იქ წერენ,  
რომ ეს ბავშვი  
ვარგა.  
ბავშვი სწრაფად  
გაიქცა,  
გაისწორა  
ქული:  
— „უნდა კარგად  
მოვიქცე,  
რომ არ ვიყო  
ცული“.



# რვენია

ზურაბ კახიანიძე

— ბიჭო,  
კადმით ნახატო,  
შენ თავს რომ გირჩევენია—  
ფედიკო და მამიკო  
ვისია?

— ჩემია!

— სულ ვენახში ტრიალებს...  
თხილი დაურჩევია...  
ბაბუა და ბებია  
ვისია?

— ჩემია!

— მუდამ სახემციწინარე,  
შენით მომიღებენია;  
ეს მთა,

ეს ცა,  
მდინარე,  
ვისია?

— ჩემია!

— ჭართლში რომ ურბნისია,  
კახეთში რომ გრემია,  
ან გელათი ვისია?

— ჩემია!

მრავალ და პირსისხლიან  
მტრებს რომ გადარჩენია,  
საჭართველო, ვისია?

— ჩვენია!

ნახატი **გიორგი როინიშვილისა**





## მწვანე ბურთი

მარი გოლჟანაძე

ბიჭებს ბურთი ბაღჩაში ვადაუფარდათ:

— ბახ!—ზედ კინკრიხოზე დაასკდა გოგ-რას, მერე ახტა-დანტა, ვაგორდა, გოგორის ფოთლების ქვეშ შეძვრა და მიიკუნჭა.

— ერთი ციკქნა მორიდება არა გაქვს!— დაუყვირა გოგრამ, ბაღჩაში ხტუნვა და კოტ-რიალი ვის გაუგია? ჩემზე მაგარი რომ ყო-ფილიყავი, ხომ თავს გამიტყენდი?

— საქმეც ვგ არის,—თავები დააკანტურეს ბოლმიანმა ბაღრიჯნებმა,—მაგდენი არ იცის ვითომ?

— ვგ ვაჟბატონი ჩვენ რომ დაგვეცემოდა თავზე, კარგ დღეში არ ჩაგვეყრიდა,—ალაპა-რაკდნენ შეშინებული პამიდვრები.

— სულ ჩაგთეთქვავენენ,—პამიდვრებისა-კენ მიაბრუნეს თავი ბაღრიჯნებმა.

ნახატები ვახვანდ ბულისაშვილისა

— ჩვენ რა... გგონიათ, კარგ დღეში ჩაე-ცვივდებოლით?—ამოიღეს ხმა კომბოსტოებ-მაც.

— ერთი სიტყვით, ბაღჩაში არ უნდა ვად-მომხტარიყო, მაგისი ადგილი მოედანზეა!— ბრძანეს აყლაყულა სიმინდებმა.

— ოღონდ კი სალაპარაკო გაუჩნდეთ და...—ჩაიბურტყუნა ბურთმა,—ყველა თავის-თავზე ჯაერობს და ზრუნავს. აი, გოგრა რომ ეკალი ყოფილიყო და ზედ წამოვგებოდი, მაშინ?—მერე თვალი ღობეზე ციყვებივით წამოსკუბებულ ბიჭებისაკენ გააპარა:

— „არ უნდა“ ვადმომხტარიყო!“ ვადმო-მხტარიყო კი არა, ვადმომხტუნეს; ახლა მე-ძებნენ. არ გამოვჩნდები, ამათ უბაში რომ ჩა-მაგდეს და სალაპარაკო გამზადეს.



ბიჭები თვალვებარეა ციციებული და ეძებდნენ ბურთს, ბაღჩაში გადასვლას კი ვერ ბედავდნენ.—ნიკო პაპასი ეშინოდათ.

— მე გიპოვნითო, — ისევ ქარი დატრიალდა: წამოუბერა, ჯერ ბიჭებს წამოუქოჩრა თმები, მერე გოგრის ბრტყელ-ბრტყელ ფოთლების ქვეშ შეეშრა, სათითაოდ ასწია, მაგრამ ბურთი ხომ მწვანე ფერის იყო და მწვანე გოგრებში აირია. ბიჭები დაიბღვირნენ:

— რომელ ერთს დავტაცოთ ხელი, ბურთის მაგივრად გოგრა რომ შეგვჩრჩეს ხელში, ბაღჩაში ჩასაფრებულ ნიკო პაპას ვინ გადაურჩება!

— ვგრე მოვიხდებათ, — დაიბღვირა ბურთიც, — მაინც დამაინც ამ ბაღჩას რომ მიმიზნებთ ხოლომე...

მთელი ზაფხული გოგრის ფოთლების ქვეშ იჯდა ბურთი, მაგრამ ისე მოიწყინა, ისე... როდემდე უნდა ვიჯდე აქ კრუხივითო?

გოგრები კი ნელ-ნელა მწიფდებოდნენ, ფერიც იცვალეს — გაყვითლდნენ: ემანდ მეც არ დავმწიფდე, მეც არ გავყვითლდე, ბიჭები ველარასოდეს მიპოვნიანო, — მალი-მალ ტანზე იყურებოდა ბურთი...

მერე შემოდგომა დადგა და ბაღჩაში ყვე-



ლაფერი მოილია, გადახმა, ზოგი შვიტამა, ზოგი შვინახა. ნიკო პაპამ ყველაზე ბოლოს გოგრებს ჩამოუარა; ყველა დაკრიფა, მწვანე ბურთს კი ქალამნის წვერი წაჰკრა: ერთი უნდილი რომ ყველგან გამოერევა ზოლმეო,—ჩაიცინა და ბაღჩაში დატოვა,—ვგდოს ცოტა ხანს, იქნებ რამე ვშველოს, იქნებ ცოტა მოფერიანდესო...

მწვანე ბურთსაც ეს უნდოდა: მთელი ზამთარი სხვენში ყურყურტს გადავრჩიო. მერე ინატრა: ნეტავ ვინმემ მომკრას თვალიო. ინატრა და... ბაღჩაში შემოდგომის ქარი შე-

მოქშითინდა. ჰოდა... ქარმა მოჰკრა თვალი ბურთს, სიხარულისაგან შეხტა-შემოტრიალდა:

— არიქა, ბიჭებო, თქვენი ნანისნანატრი ბურთი ახლა კი ვიპოვნეო!—ატეხა სტვენა, წივილი; მერე ეძგერა,—ხან იქით გააგორა, ხან აქეთ...

საიდან გაჩნდნენ ისე უცებ ბიჭები?! ახლა ვილა დაუშლიდათ, ბაღჩაში გასაფუქებელი აღარაფერი იყო, გადმოვშვენენ ღობეზე, სტაცეს ხელი ბურთს და სათამაშოდ გაიტაცეს.



## ზაფხული

მთარ ზალაგვირიძე

ცხელა და ცხელა, ეტეობა,  
ძალიან დასცხა ფარშავანტს;  
რადგან ის კუდი, ჭრელჭრელი,  
ძარბოსავით გაძალა.



## ბოსტანები

ჩუმაღ!  
ჩუმაღ!  
ბოსტნის ახლო  
თენგო—ბიჭი  
იტრუნება,—  
ბაღასები  
წაიფარეს  
თითისტოლა  
კიტრუნებმა!



## ენის გასატეხი

გორბ-გორბ  
გორავს  
გოგრა.  
გორბავს,  
როგორც  
გორგოლა;  
გაგვიდა  
გოგმან-გოგმან  
გოგრას  
გოგნი-  
გოგონა.

## მეკა

ბატის ჭუკი თავნება  
ტუისკენ მიიზარება;  
უსარია შერასო,—  
მაღლა ციდან ზვერავსო.



## თავღამსხმელი

უველა ნომერს ცხრიანი სჯობს,  
არ სჭირდება დაფიცება;  
როცა იგი ბურთს შიილებს,  
არის ერთი ტამისცემა!  
მუდამ წინ-წინ იცქირება,  
სწრაფია და შფოთიანი;  
დამცველივით კი არ უგვარს  
უგან-უგან ბოდიალი.



## ნუკრია

თავის სათამაშოებს  
სულ არ უგლის ნუკრია;  
ზოგი აქვთ უურია,  
ზოგი იქით უურია.  
რა ქნას,  
როგორ მოიქცეს,  
თუკი აგრე სწვევია?—  
სულ სხვისაზე იძახის:  
„ჩემია და ჩემია.“





# ჩივი

ნანა მჭვლიძე

ნახატი ელზა რე ამოკამონა

სამი წლის იყო მაგდანა, ძიამ გალიით ჩიტი რომ მოუყვანა. სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა.

ლამაზი ჩიტი იყო: პატარა, ყვითელგულა, მომწვანო თავი და რაღაცნაირი მოღურჯო-მონაცრისფრო ფრთები ჰქონდა. პაწაწინა ვარდისფერი ფეხები ჰქონდა. იჯდა თავის ცინეში და საცოდავი თვალებით იყურობოდა. თუმცა კი არ იჯდა, სულ ფართხა-

ლებდა, თავგამეტებით აწყდებოდა საკანის მავთულებს. დღე და ღამე მისი ფრთების ფართხუნი ისმოდა, განუწყვეტლივ ასკდებოდა გალიის კედლებს. ახლაც მიკვირს, სად ჰქონდა იმდენი ენერგია იმ პაწაწინტელა ჩიტუნას!

მაგდანა თავს ველებოდა, არ იცოდა, რითი ეცა პატივი, ყოველ წამს საცნქს უყრიდა, მაგრამ ჩიტი არ უყურებდა საქმელს, კვლავ გალიის კედლებს ეხეთქებოდა... ბოლოს სულ გამოიცვალა. ტანზე ლამაზი ბუმბული შემოეცალა, პაწაწინა ვარდისფერი ფეხები დაეკაწრა და სისხლი სდიოდა. ძალიან შეეწუხდი საწყალი ჩიტის ტანჯვით, მაგდანას ვუთხარი:

— ცოდვაა ჩიტი, მოდი, გავუშვათ.

ბავშვმა უარი თქვა, ჩიტი არ ეთმობოდა. ახლა გვერდიდან აღარ იშორებდა. თავის საწოლთან გაუყვთა კუთხე.

— ალბათ დედიკო ეძებს, — ვუთხარი ერთხელ, — ალბათ ტირის კიდევ, როგორ გაუხარდება, რომ გაუშვა!

მაგდანა დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ შემეცითხა:

— მერე, რა უნდა ქამოს გარეთ?!

— ოღონდ გაუშვი და ჩიტს ძალიან ცოტა უნდა, იპოვის თავის საქმელს.

— კარგი, გავუშვათ, — თქვა უცბად მაგდანამ.

გადავწყვიტეთ, ტყეში წავსულიყავით და იქ გავვეშვა ჩიტუნია.

გალია ჩიტთანად ღიღის ამბით მოჰქონდა მაგდანას, თან გზაში გაუჩერებლივ მტკიცე ტიკებოდა:



— როგორ გაეხარდება, გალიის კარს რომ  
გავუღებთ და გაფრინდება, მერე მის ღვინ-  
კოსაც როგორ გაეხარდება, თავის პატარა  
შვილს რომ ნახავს.

— აბა, აბა!—კვერს ვუკრავ მაგდანას და  
ვგრძნობ, რომ ბავშვზე ნაკლებად არ მიხა-  
რია.

ტყეში შევედით. მაგდანამ გალია დადგა  
და მე შემომხედა. ტყეში ჩიტების ჭიკჭიკი  
რომ შემოგისმა, ჩიტუნიამ ფართხალს მოუ-  
მატა.

— გააღე კარი,—ვეუთხარი მაგდანას.  
მაგდანამ ნელა გამოაღო გალიის კარი,  
მაგრამ ჩიტი კუთხეში მიიყუთა. დავიბენით.  
გვეგონა გალიის კარის გაღება და ჩიტის  
შურდულივით გავარდნა ერთი იქნებოდა...

ვატრიალეთ გალია აქეთ-იქით, ჩიტი კი  
ისეთ ადგილს ეძებდა, რომ გარეთ არ გამო-  
სულიყო. გალიაში ხელიც შეგვაყვით, უნდა  
გენახათ, როგორ გავვირბოდა. როგორც იქნა,  
ჩიტი ფრთხილად დავიჭირე, გალიიდან გა-  
მოვიყვანე და ჰაერში ნელა ავისროლე. ჩი-  
ტი აფრინდა, შემდეგ ისევ ჩამოფრინდა და  
ჩვენს მახლობლად დაჯდა. ხან მე მიყურებდა,  
ხან—მაგდანას.

— გაფრინდი ჩიტუნია.—ეთქვი მე.  
მაგრამ იგი ადგილიდან არ იძვროდა. კვლავ  
ავისროლე მაღლა, ისევ ისე ჩამოფრინდა და  
ჩვენს მახლობლად დაეშვა მიწაზე. რამდენიმე  
ხანი ასე გარინდული იჯდა. ავიყვანეთ,  
ხეზე შევსვით, ჩვენც იქვე ჩამოვჯექით და  
უთუვალთვალეზდით, რას იზამდა.

ჩიტი კარგა ხანს იჯდა ტოტზე. მერე რო-  
გორც იქნა, მეორე ტოტზე გადაინაცვლა.  
მაგდანამ სიხარულით ტაში შემოპკრა, კი-  
სერზე მომეხვია და ისე უყურებდა აბუხულ  
ჩიტს.

— გაფრინდი, გაფრინდი, ჩიტო!—ეძახდა  
მაგდანა.

როგორც იქნა, ჩიტუნიამ ფრთა ფრთას შე-  
მოპკრა და ცაში აფრინდა.

— როგორ გაეხარდება მის ღვინკოს,  
შვილს რომ ნახავს,—მეჭიკჭიკებოდა გზაში  
მაგდანა.



18.143

ნახატები გუსო ხილაშვილისა

# კატამ ჩიტი გადასანსლა

გიჟინა შინლაჟ

კატამ ჩიტი გადასანსლა,  
ჩიტი, ჩიტი, ჩიორა...  
ქვაც ვესროლე, ქვის ნაშალიც—  
გადამირჩა იოლად.

ახლა სახლის სახურავზე  
წევს სახლიდან გადღებული,  
ხოლო დიდი, გრძელი კუდი  
ყავარზე აქვს გადღებული.



# ლექსოს ჩივილი და დედის პასუხი

— ბებო მკოცნის, ბაბუ მკოცნის,—  
ეუბნება დედას ლექსო—,  
დიდი პაპა რომ ამიყვანს,  
მალლა ცაში ამაფრენსო,  
თინა თვითონ პატარაა  
და ლამის ზედ გადამყვესო...  
ერთადერთი მამაჩემი  
არ მოვა რომ მეაღერსოს.  
— შვილო, ჩვენ დღე გეფერებით,  
მამა გკოცნის მძინარესო.



# გულაღი ბაჭია

ქ. გომიზუვილი

(ბუმრობა)

ნახატი ოლიკო თავაძისა

დედამ ზატარა მზია კბილის ექიმთან წაი-  
ვვანა; კიბე რომ აიარეს, დედა შვილს  
მიუბრუნდა:

— აბა, შესედე, მზია, რა მშვენივრად  
მოუწვევიათ ზოლიკლინიკა, აგერ, კე-  
დელზე სურათს სედავ? ბაჭიან უბა აუსწე-  
ვია და დედოკოს მიმუვება კბილის ექიმთან.

— მეც ხომ მოგუვები!— წამოიძახა მზიამ.

— ბაჭიან სულ არ ეშინია!— უთხრა დე-  
დამ.

— არც მე შეშინია, მხოლოდ ჯერ ბა-  
ჭიან ამოიძროს კბილი.

— აკი არ შეშინიაო, შენ ამოდენა ვო-  
გო ხარ, ბაჭიან მატყლითი უნდა მისცე.

— არა, დედა, ჯერ მაცან მომცეს მა-  
ტყლითი.

თურმე დედა-შვილის ლანარაკს დედა-კურ-  
დღელი და ბაჭია ეურს უგდებდნენ. ბაჭიან  
კედლიდან ისკუზა, ჯიბიდან სტაფილო ამოი-  
ღო, მზიას გაუწოდა და უთხრა:

— ნუ გეშინია, მე შევალ ექიმთან ზირ-  
ველი, შენ კი ეს სტაფილო დაძივი, არ შე-  
მიჭამო, ახლავე გამოვალ! — თქვა ბაჭიან და  
ექიმის კაბინეტში გაბედულად შევიდა.

მზიან შერცხვა. სტაფილო დედან მი-  
წოდა, კარი შეაღო, ბაჭიან გვერდით დადგა  
და ექიმს შესძახა:

— ექიმო! ბაჭიან შემდეგ მე ამომიდეთ  
კბილი!

ექიმმა და მზიან დედამ გულიანად გაი-  
ცინეს.





როსომა ალანიძე

## ქოჩორას ტყუპები

ხათუნას ბებია მაკრინემ ორი კრუხი დასვა კვერცხებზე.

— ეს ქოჩორა დედალი ჩემი იყოს, ვნახოთ, რომელი აჯობებს, — აირჩია ხათუნამ ერთი კრუხი.

ბებიას ჩაეცინა, შვილიშვილს მოეფერა და უთხრა:

— მაშინ მოვლაც არ უნდა დაიხარო, — საკენკი უნდა დაუყარო, წყალი დაუსხა, გამოუტყვალო...

ბებიას ნათქვამი გოგონამ გაიგონა. იმავე დღეს, როცა ბებია კრუხების მოსავლელად გავიდა, ისიც თან გაჰყვა, ერთად დაუყარეს საკენკი, დაუსხეს წყალი.

ხათუნამ ორივე საბუღარში დაითვალა კვერცხები, ქოჩორას თვრამეტი აღმოაჩნდა. ბებიას კრუხის საბუღარში კი ოცდახუთი იყო. გოგონა გაწყრა:

— არა! არ მინდა ასეთი კრუხი, მავასაც ოცდახუთი კვერცხი დაულაგე!

— არა, შვილო, შენი კრუხი ჯერ ახალგაზრდაა, პირველად ჯდება კვერცხებზე, მაგისი ფრთა-ბუმბული მეტს ვერ დაფარავს, ზედმეტი გაულაყდება! — მოეფერა მოხუცი შვილიშვილს.

ხათუნაც დამშვილდა, აღარაფერი უთქვამს, ოღონდ ეს ამბავი მაინც გულში ჩარჩა, მეო-

რე დღესვე ორი კვერცხი ჩუმად შეუწყო თავის ქოჩორას.

ბებია მაკრინე ყველაფერს მიხვდა, მაგრამ აღარაფერი უთხრა შვილიშვილს.

ხათუნა არ ივიწყებდა თავის მოვალეობას, ბებიას თუ არ ეცალა, ის იყო კრუხების პატრონი. მოუთმენლად ელოდა, როდის გამოიჩეკებოდნენ წიწილები.

გავიდა ოცდაერთი დღეც და... ქოჩორას საბუღარიდან წიწილები მოისმა.

გოგონა სიხარულით ცას ეწია: ყვითელი, ლაბუა წიწილი გატეხილი კვერცხის წინ მობუზულიყო. ორიოდღე დღეში მაკრინე ბებიას კრუხის საბუღარში ოცდახუთი წიწილი წიწილებდა, ხათუნას ქოჩორას საბუღარში კი უცნაური ამბავი მოხდა: ის ორი კვერცხი გალაკებულყო. მაგრამ თვრამეტკვერცხიან საბუღარში ცხრამეტი წიწილი არ აღმოჩნდა! გაცოცდა ხათუნა. რას მიხვდებოდა, რომ ერთ-ერთი კვერცხიდან ორი წიწილი გამოჩეკილიყო. ტყუპები ერთიმეორეს საოცრად მგავდნენ, სხვებისაგანაც გამოირჩეოდნენ, — ტანმოირჩილები იყვნენ.

ეს ამბავი ყველას გაუკვირდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ სანახავად მეზობლები.

ეს ქოჩორას ტყუპები ორგულიანი კვერცხიდან გამოჩეკნენ.



# ქ ს ზ უ ჳ ც ა ი


## ტყუპები

ვენერა ჩაჩაპინი

დიდი ჩხუბი ატყევის,  
მიზეზია პაწია,—  
შვეცვალათ კბები,  
ატყდა გაწამაწია.

## ბროლია

უნდა გავწერთა მეკარედ  
ჩემი კარგი ბროლია,  
ენახოთ, ვინდა დამცინებს:  
გოლია და გოლია!



## გამოცანები

გაღობს ძაღსე სხამოდ,  
უსმენს ეგვან სულღგჷშოდ,  
ზაწაწინა ჩიტია,  
რა იქნება?!.....

სისარბეში, ჭამაში,  
ანაჟინ ჭუაჯს ტოლით,  
მიწას ჩინჩინს, დრუტუნებს,  
რა იქნება?!....

ჯიშვარ მაჭარამბე

## შარალა

მწყემსის ჯოხის სახელი  
შარალისთვის გვეჭირდება;  
მას ბოლოდან მეორე  
ბგერა ჩამოსცილებდა.  
მხოლოდ ერთი სიტყვადა  
არის ახლა საჭირო:  
სიოს კიდევ რა ჰქვია,  
მიპასუხე, ყმაწვილო,—  
პირველ ნაწილს დაურთე  
მისი წინა მარცვლი,—  
დამწიფებულ ყანას ძოვს,  
სულიერი არც არი.

შოთა ამირანაშვილი

შოთაბი რედაქტორი მუხრან მამუკაშვილი

საბრუნველო კლდეია: კუპარი გომიკაშვილი, ლეილა იბაბი, ჯუბალა ლოლუა, ზარამ ლომიძე, მანგალა მანგალაშვილი, იოსებ მამუკაშვილი (მ/გ მდივანი), ზებუნა ტახაშვილი (სამხ. რედაქტორი), გიგო ქვიციანი  
საქ. აღმც. ცე-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ტურნალი.  
უფრო ნახარჯი ზარამ მამუკაშვილს  
გამოცემის 46-ე წელს.

ტიქერედაქტორი მ. გრიშინაშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქციის—93-41-30, 93-98-15; მ/შ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქციის — 93-98-18; გამომც. — 93-98-19; საბრუნველის — 93-98-16.  
გადაცემა ასეუბლო 13/11-78 წ. ბელმოწერილი დასაბეჭდელ 10/VI-73 წ. კალენის ზომა 80x100<sup>1/4</sup> ფიხ. ნაბ. ფურც. 25. ტირაჟი 150.700. შედეგ. № 800. „დილა“ № 7. ია გრუიკისკი მანკი. ფასე 20 კაბ.

საქ. კბ ცე-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии



„კინიგვაზე“—ნახ. ანზორ ლაშაშვილისა, 9 წ. თბილისი.



„თეატრალური კოსტუმები“—ნახ. მიაა ქუთათელაძისა, თბილისი.



„მდელების ტბა“—ნახ. ლალი მანტაკვაძის, 6 წ. თბილისი.



„გახეივნება“—ნახ. ანა კობახიძისა, 7 წ. ქარელი


„კვავილი“—ნახ. ბელა სირხილაძისა, 7 წ. თბილისი.



„დედოფალი“—ნახ. მიაა ნოზაძისა, 7 წ. თბილისი.



„ციყვები ტყეში“—ნახ. ხათუნა ხუბიშვილისა, 7 წ. თბილისი.



„ზღვაზე“—ნახ. რათა ჯანდიერისა, 6 წ. თბილისი.